

ქ. ზუგდიდი

28 დეკემბერი 2017 წ.

13:00 სთ-ზე

დღის წესრიგი:

1. ყოფილი ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: დ. გახარია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: მ. ბოკუჩავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

2. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
სხდომის

ოქმი N6

ქ. ზუგდიდი

28 დეკემბერი 2017 წელი
13:00 სთ

2017 წლის 28 დეკემბერს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის წევრები: დავით გახარია, თამუნა ჯიქია, ირაკლი ლაგვილავა, ზაზა პროკოპენკო, დაზმირ ძიმციეშვილი, გიორგი თოდუა, კონსტანტინე კაკავა, მიხეილ ჯობავა, პაატა ადამია, ირაკლი ღურწყაია.

სხდომას არ ესწრებოდა: ანა წითლიძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მურთაზ ბოკუჩავა.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო ჩახაია.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით გახარია. სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ყოფილი ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: დ. გახარია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: მ. ბოკუჩავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი (მომხრე-10; წინააღმდეგი-0) და კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დ. გახარიას ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 28 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის N 02/910 მომართვა (სარეგისტრაციო ნომრით: 172/03 28.12.2017 წ.), რომლითაც წარმოდგენილი იყო წინადადებები „ყოფილი ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

კერძოდ,

ყოფილი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

განმარტებითი ბარათი

წარმოგიდგენთ წინადადებებს ყოფილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე კონკრეტულად:

ყოფილი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით

2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებით ბიუჯეტების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ოქტომბრის N471 დადგენილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით ყოფილი ქალაქ ზუგდიდის ბიუჯეტის მისაღები გათანაბრებითი ტრანსფერი 102.7 ათასი ლარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩაირიცხა ყოფილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების ანალიზის მიხედვით წარმოდგენილია წინადადება ბიუჯეტის დაზუსტების თაობაზე. კერძოდ შემცირდეს არასაგადასახადო შემოსავლები 200.0 ათასი ლარით კონკრეტულად სხვა არასაგადასახადო შემოსავლები.

სულ შემოსულობების ნაწილი დაზუსტდეს 302.7 ათასი ლარით, შესაბამისად შემცირდეს გადასახდელები მათ შორის:

- 47.0 ათასი ლარით საკრებულოს გადასახდელები;
- 70.0 ათასი მერიის გადასახდელები;
- 52.0 ათასი ლარით ააიპ სპორტის ცენტრის სუბსიდირება;
- 132.3 ათასი ლარით რეგიონალური ფონდების თანადაფინანსება;
- 1.4 ათასი ლარით მინის სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;

ზემოხსენებული ცვლილებების გათვალისწინებით ყოფილი ქალაქ ზუგდიდის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრება 23616.6 ათასი ლარით.

ყოფილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით

შემოსულობების ნაწილში, გათანაბრებითი ტრანსფერი გაიზარდოს 102.7 ათასი ლარით, ასიგნების ნაწილში შესაბამისი თანხით გადიდდეს რეგიონალური პროექტების თანადაფინანსების თანხა

გარდა ზემოაღნიშნულისა, შევიდეს შიდა ცვლილებები ცალკეულ ასიგნებების მიხედვით. შემცირდეს გამგეობის, საკრებულოს და სამხედრო სამსახურის ხელფასის ფონდები 170.0 ათასი ლარით აღნიშნული თანხიდან დაზუსტდეს 80.0 ათასი ლარით სოციალური სახლების მშენებლობის თანხები 71.1 ათასი ლარით რეგიონალური ფონდების თანადაფინანსების თანხები და 18.9 ათასი ლარით ინფრასტრუქტურის სხვადასხვა პროექტები.

ასევე შესრულების მაჩვენებლების მიხედვით შევიდეს შიდა ცვლილება და დაზუსტდეს საერთო გეგმის ფარგლებში ცალკეული სახის შემოსულობები.

ზემოაღნიშნული ცვლილებებით დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრება 30740.3 ათასი ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა კენჭი ეყაროს წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე: 10 (დავით გახარია, თამუნა ჯიქია, ირაკლი ლაგვილავა, ზაზა პროკოპენკო, დაზმირ ძიმცეიშვილი, გიორგი თოდუა, კონსტანტინე კაკავა, მიხეილ ჯობავა, ირაკლი ღურჭკაია, პაატა ადამია)

წინააღმდეგი : 0

დაადგინეს: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროზე, შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა. სხდომა გამოცხადდა დახურულად.

დ. გახარია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე